

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

შინაარსი	გვერდი
მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	9
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	16
4 ძირითადი საშუალებები	16
5 მარაგები	16
6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
7 ფული და ფულის ეკვივალენტები	17
8 გადასახადები	17
9 საწესდებო კაპიტალი	17
10 მიღებული სესხები	18
11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
12 შემოსავალი	18
13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18
14 სხვა საოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	19
15 ადმინისტრაციული ხარჯები	18
16 ფინანსური შემოსავლები	19
17 გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები	19
18 ფინანსური რისკების მართვა	19
19 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	23
20 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	23

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "მოსავლის მართვის კომპანია"-ს ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამო არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადეკვატური კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

პაატა ჭავჭავაძე

დირექტორი

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

თარიღი: 25 ივლისი, 2025

სოფიო უტიაშვილი

მთავარი ფინანსისტი

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "მოსავლის მართვის კომპანია"-ს ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონიერულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

პაატა ჭავჭავაძე
დირექტორი

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

თარიღი: 25 ივლისი, 2025

სოფიო უტიაშვილი
მთავარი ფინანსისტი

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს "მოსავლის მართვის კომპანიის" დამფუძნებელს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩატარეთ შპს "მოსავლის მართვის კომპანია"-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა "პირობითი მოსაზრების საფუძველი" აბზაცში განხილული საკითხისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

მარაგები - კომპანიაში არსებობს მარაგების გაუფასურების ინდიკატორები, რომელიც მენეჯმენტს სრულად არ აქვს გათვალისწინებული მარაგების გაუფასურების დაანგარიშებაში, შესაბამისად ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რომ მარაგები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. შესაბამისად ჩვენ ვერ დავრწმუნდით მარაგების შეფასების სისწორეში, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია შემდეგი საბალანსო ღირებულებებით 2024 წლის 31 დეკემბერს - 14,450 ათასი ლარის ოდენობით, 2023 წლის 31 დეკემბერს - 10,157 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

საეჭვო მოთხოვნების რეზერვი - წინა პერიოდის შესადარის ინფორმაცია, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს არსებით შეცდომას, რომელიც უკავშირდება საეჭვო მოთხოვნების რეზერვი ფასს 9-ის შესაბამისად არ აღრიცხვას. კერძოდ, საეჭვო მოთხოვნების რეზერვის დათვლის პროცესში არ არის გათვალისწინებული სახელშეკრულებო გადახდის პირობები. მენეჯმენტმა არ გადაიანგარიშა შესადარის ინფორმაცია, აქედან გამომდინარე ჩვენ ვერ გამოვთქვამთ რწმუნებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საეჭვო მოთხოვნების რეზერვის შეფასების სისწორეზე, ასევე 2024 წლის და 2023 წლის საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ცვლილების (ხარჯი) / შემოსავალის სისწორეზე.

ხარჯების კლასიფიკაცია - 2023 წელს კომპანიას საწარმოო ზედნადები ხარჯები არ აქვს სწორად გამოიჯნული რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასა და ადმინისტრაციულ ხარჯებს შორის.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2024 წლის 26 ივლისს გამოსცა პირობითი მოსაზრება.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მენეჯმენტისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოექცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეყვანოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღეკვეთური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი:

SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი:

SARAS-A-865011

თარიღი: 25 ივლისი, 2025

თბილისი, საქართველო



შპს "მოსავლის მართვის კომპანია"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-24	31-დეკ-23
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	243	317
სულ გრძელვადიანი აქტივები		243	317
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	39,180	10,157
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	6,532	11,915
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	7,040	50,150
საგადასახადო აქტივი	8	101	93
სულ მოკლევადიანი აქტივები		52,853	72,315
სულ აქტივები		53,095	72,632
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	35,068	35,068
გაუნაწილებელი ზარალი		14,964	36,740
სულ კაპიტალი		50,032	71,808
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	3,064	823
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,064	823
სულ ვალდებულებები		3,064	823
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		53,095	72,632

პაატა ჭავჭავანიძე
დირექტორი

სოფიო უტიაშვილი
მთავარი ფინანსისტი

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

თარიღი: 25 ივლისი, 2025

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-24	31-დეკ-23
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	243	317
სულ გრძელვადიანი აქტივები		243	317
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	39,180	10,157
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	6,532	11,915
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	7,040	50,150
საგადასახადო აქტივი	8	101	93
სულ მოკლევადიანი აქტივები		52,853	72,315
სულ აქტივები		53,095	72,632
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	35,068	35,068
გაუნაწილებელი ზარალი		14,964	36,740
სულ კაპიტალი		50,032	71,808
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	3,064	823
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,064	823
სულ ვალდებულებები		3,064	823
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		53,095	72,632

პაატა ჭავჭავაძე
 დირექტორი

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

თარიღი: 25 ივლისი, 2025

სოფიო უტიაშვილი
 მთავარი ფინანსისტი

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	12	6,490	19,621
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(10,904)	(25,836)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	5.1	(61,748)	(10,797)
საერთო მოგება / (ზარალი)		(66,162)	(17,011)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	14	37,708	18,791
საექვო მოთხოვნების რეზერვის ცვლილების (ხარჯი) / შემოსავალი	6.1	5,743	16,980
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(2,780)	(2,986)
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები		-	(37)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		(25,492)	15,736
ფინანსური შემოსავლები	16	3,991	1,767
სხვა ხარჯი		(275)	(61)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები			12
მიმდინარე წლის წმინდა მოგება		(21,777)	17,453
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		(21,777)	17,453

პაატა ჭავჭავანიძე

დირექტორი

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

თარიღი: 25 ივლისი, 2025

სოფიო უტიაშვილი

მთავარი ფინანსისტი

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	12	6,490	19,621
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(10,904)	(25,836)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	5.1	(61,748)	(10,797)
საერთო მოგება / (ზარალი)		(66,162)	(17,011)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	14	37,708	18,791
საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ცვლილების (ხარჯი) / შემოსავალი	6.1	5,743	16,980
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(2,780)	(2,986)
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები		-	(37)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		(25,492)	15,736
ფინანსური შემოსავლები	16	3,991	1,767
სხვა ხარჯი		(275)	(61)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები			12
მიმდინარე წლის წმინდა მოგება		(21,777)	17,453
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		(21,777)	17,453

პაატა ჭავჭავაძე
დირექტორი

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

თარიღი: 25 ივლისი, 2025

სოფიო უტიაშვილი
მთავარი ფინანსისტი

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31-დეკ-22	9	35,040	19,287	54,327
კაპიტალის ზრდა		28	-	28
2023 წლის მოგება		-	17,453	17,453
31-დეკ-23	9	35,068	36,740	71,808
კაპიტალის ზრდა		-	-	-
2024 წლის ზარალი		-	(21,777)	(21,777)
31-დეკ-24	9	35,068	14,963	50,031

პაატა ჭავჭავანიძე
დირექტორი

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"


თარიღი: 25 ივლისი, 2025

სოფიო უტიაშვილი
მთავარი ფინანსისტი

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში


	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31-დეკ-22	9	35,040	19,287	54,327
კაპიტალის ზრდა		28	-	28
2023 წლის მოგება		-	17,453	17,453
31-დეკ-23	9	35,068	36,740	71,808
კაპიტალის ზრდა		-	-	-
2024 წლის ზარალი		-	(21,777)	(21,777)
31-დეკ-24	9	35,068	14,963	50,031



პაატა ჭავჭავანიძე
 დირექტორი

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

თარიღი: 25 ივლისი, 2025



სოფიო უტიაშვილი
 მთავარი ფინანსისტი

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		(21,777)	17,453
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	4	64	76
დებიტორების რეზერვის შემოსავალი/	6	(5,743)	(16,980)
მარაგების რეზერვი	5	61,748	10,797
საოპერაციო შედეგები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		34,292	11,346
(ზრდა)/კლება მარაგებში	5	(90,770)	1,189
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	6	11,126	25,810
კლება/(ზრდა) საგადასახადო აქტივებში	8	(8)	(93)
(კლება)/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	11	2,265	(937)
კლება/(ზრდა) საგადასახადო ვალდებულებებში		-	(35)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი / (გამოყენებული) ფულადი სახსრები		(43,096)	37,280
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	4	(14)	(11)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები		(14)	(11)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალის ზრდა		-	-
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი/(გამოყენებული) ფულადი სახსრები		-	-
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა / (შემცირება)		(43,110)	37,269
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		50,150	12,881
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	7,040	50,150

პაატა ჭავჭავანიძე

დირექტორი

სოფიო უტიაშვილი

მთავარი ფინანსისტი

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

თარიღი: 25 ივლისი, 2025


შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		(21,777)	17,453
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	4	64	76
დებიტორების რეზერვის შემოსავალი/	6	(5,743)	(16,980)
მარაგების რეზერვი	5	61,748	10,797
საოპერაციო შედეგები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		34,292	11,346
(ზრდა)/კლება მარაგებში	5	(90,770)	1,189
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	6	11,126	25,810
კლება/(ზრდა) საგადასახადო აქტივებში	8	(8)	(93)
(კლება)/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	11	2,265	(937)
კლება/(ზრდა) საგადასახადო ვალდებულებებში		-	(35)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი / (გამოყენებული) ფულადი სახსრები		(43,096)	37,280
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	4	(14)	(11)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები		(14)	(11)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალის ზრდა		-	-
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი/(გამოყენებული) ფულადი სახსრები		-	-
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა / (შემცირება)		(43,110)	37,269
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		50,150	12,881
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	7,040	50,150


პაატა ჭავჭავაძე
დირექტორი

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

თარიღი: 25 ივლისი, 2025


სოფიო უტიაშვილი
მთავარი ფინანსისტი

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს "მოსავლის მართვის კომპანია" (შემდგომში კომპანია, ს.ნ. 405406109) დაფუძნდა 2020 წლის 04 აგვისტოს. ამჟამად ფუნქციონირებს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაარსების დღიდან დღემდე აწარმოებს ყურძნისგან ღვინოს. დარეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (ს.ნ. 205005910), ხოლო წილის მმართველი ორგანოა ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო (ს.ნ. 404923785).

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს კომპანიის დირექტორი - პაატა ჭავჭავაძე.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ 2024 წელს შეადგინა 78 თანამშრომელი (2023: 77 თანამშრომელი).

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, კომპანიის პირველი ანგარიშგებაა, რომელიც მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადებისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიას მიაჩნია, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირვანდელი ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. პირვანდელი ღირებულება, ზოგადად, დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან რომლის გადახდა ხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გაერცვლებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გათვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

2.3 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

ბასს 1-ის შესწორებები: "ვალდებულებების კლასიფიცირება მოკლევადიანად ან გრძელვადიანად" და "გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით"

ეს შესწორებები ერთობლიობაში გავლენას ახდენს ვალდებულების კლასიფიკაციაზე მოკლევადიანად ან კოვენანტების მქონე გრძელვადიან ვალდებულებად ("გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით"), ასევე კომპანიის მიერ გამოშვებული კონვერტირებადი იმ სავალო ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რომელსაც გააჩნია კონვერტაციის პირობა. ეს ცვლილება რეტროსპექტულად არის გამოყენებული. ამ ცვლილების ამოქმედების შედეგად, 2023 წელს, გრძელვადიანად კლასიფიცირებულ კონვერტირებად სავალო ვალდებულებას მიენიჭა მოკლევადიანი ვალდებულების კლასიფიკაცია.

ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები: "მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები"

ზემოაღნიშნული ცვლილება გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, თუმცა, მან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება გამოიწვია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში კომპანიის მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმების ხასიათის ასახსნელად.

2.4 სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

შემდეგი სტანდარტები და შესწორებები ჯერ არ არის ძალაში შესული, მაგრამ შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ფასს 9-ისა და ფასს 7-ის შესწორებები- ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების შესწორებები

ეს შესწორებები ცვლის მოთხოვნებს იმის შესახებ, როდის შეიძლება შესწყდეს ფინანსური ვალდებულების აღიარება, თუკი ვალდებულება დაიფარა ელექტრონული გადახდების სისტემის მეშვეობით, ან როდის შეიძლება, რომ ფულადი ნაკადები მიჩნეული იყოს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდად და, მაშასადამე, შესაძლებელი გახდეს ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ კატეგორიად.

მართალია, კომპანიას ჯერ არ დაუსრულებია ზემოაღნიშნული ცვლილებების ზემოქმედების შედეგების შეფასება, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროსთან დაკავშირებულმა ცვლილებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსურ ვალდებულებებზე, თუმცა, ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასთან დაკავშირებული ცვლილება გავლენას არ იქონიებს კომპანიაზე.

ამჟამად კომპანია ჯერ ისევ აწარმოებს ამ შესწორებების გავლენის შეფასებას. ამ ცვლილებების გამოყენება სავალდებულო იქნება 2026 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ფასს 18 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 1-ს – "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა". მართალია, ბევრი მოთხოვნა უცვლელი დარჩება, მაგრამ ახალი სტანდარტი მაინც გავლენას მოახდენს მოგებისა და ზარალის ანგარიშგების წარდგენაზე და, შესაბამისად, არაპირდაპირ გავლენას იქონიებს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზეც. ამასთან, ახალი სტანდარტი მოითხოვს სუბიექტის საქმიანობის შედეგების ამსახველი ისეთი მაჩვენებლების გამჟღავნებას, რომლებიც არ მოითხოვება ფასს სტანდარტებით, არამედ ხელმძღვანელობის მიერ არის განსაზღვრული, მაგრამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებასა და მის შენიშვნებში ასახული ინფორმაციის/მონაცემების აგრეგირებისა და ღებავრეგირების ღონეზე.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.4 სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფასს 18 ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის და გამოიყენება რეტროსპექტულად. ორგანიზაცია ამჟამად აფასებს, რა გავლენას იქონიებს ორგანიზაციაზე ფასს 18-ის ამოქმედება.

დღეისთვის არ არსებობს სხვა ახალი სტანდარტი ან შესწორებების დოკუმენტი, რომელიც სავარაუდოდ არსებით გავლენას იქონიებს კომპანიაზე.

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად.

ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნეს გაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.5 ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

იმ დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რაც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადგადაცილების დღეები	< 30	31 - 90	91-180	181-365	> 365
დარეზერვების პროცენტული	0%	5%	25%	50%	100%

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შინაარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება;

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები - ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში, ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

2.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ზარავები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ზარავებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება აუცილებელი, კომპანია ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო გამოყენების ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ზარავის აღიარება ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღიარდება თვითღირებულებით გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ზარავებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ზარავებს, ასევე, პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ზარავებს, რომლებიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწმებიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ზარავებთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოიწმირა. სხვა დანაზარავები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ზარავი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ზარავი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას ნაშთის შემცირების მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მანქანა დანადგარები და მოწყობილობები	5-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

2.7 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებები

აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შემოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწმირება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და რეალიზაციის დანაზარავებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.7 არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

გამოყენების ღირებულება არის აქტივის/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მომავალში გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულება გამოითვლება დაბეგვრამდე დისკონტირებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან/ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

2.8 კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები სააქციო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ.) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. სააქციო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

2.9 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ერთი ევროსთვის შეადგენს 2.9306 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6894 ლარი, ერთი ევრო 2.9753 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ის ბალანსში წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.10 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

2.11 სასაქონლო-მატერიალური აქტივები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალური მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებით გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით და შეიცავს დანარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორც ის იმყოფება.

2.12 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები.

შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებითა და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.12 შემოსავლის აღიარება (გაგრძელება)

- კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას არ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში; და
- ოპერაციასთან დაკავშირებული ღირებულებები და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

მიღებული სუბსიდიის აღიარება შემოსავლად იმ პერიოდის განმავლობაში, რომელი პერიოდის საკონპენსაციოდ იყო გამიზნული. სუბსიდიები, რომლებიც წარმოდგენილია როგორც უკვე გამოწვეული ხარჯებისა, თუ ზარალის საკონპენსაციოდ კომპანიის ფინანსური მხარდაჭერისთვის და რომელთაც არ გააჩნიათ სამომავლო ხარჯები, აღიარდება როგორც სხვა შემოსავალი იმ პერიოდისათვის, რომელშიც წარმოიშვა მოთხოვნა.

2.13 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასის-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განთავსებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

3.2 საეჭვო ვალები

კომპანია აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების ღონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების ღონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისგან.

3.3 საბაზრო საპროცენტო განაკვეთი

მენეჯმენტმა კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასების მიზნით გამოიყენა საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შესაძლოა ფინანსურ ვალდებულებებზე და საპროცენტო ხარჯებზე იქონიოს გავლენა.

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

4 ძირითადი საშუალებები	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტ ო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალება	სულ
ისტორიული ღირებულება					
31-დეკ-22	355	73	36	2	466
შეძენა	9	28	10	-	47
გასვლა	-	(13)	-	-	(13)
31-დეკ-23	364	88	46	2	500
შეძენა	8	-	5	-	14
გასვლა	(47)	-	-	-	(47)
31-დეკ-24	326	88	51	2	467
აკუმულირებული ცვეთა					
31-დეკ-22	(86)	(18)	(8)	(0)	(112)
პერიოდის ცვეთა	(55)	(14)	(7)	(0)	(76)
ჩამოწერილი აქტივის ცვეთა		4			4
31-დეკ-23	(142)	(27)	(14)	(0)	(183)
პერიოდის ცვეთა	(44)	(12)	(7)	(0)	(64)
ჩამოწერილი აქტივის ცვეთა	23				23
31-დეკ-24	(163)	(39)	(21)	(1)	(224)
საბალანსო ღირებულება					
31-დეკ-22	269	56	28	1	354
31-დეკ-23	223	61	31	1	317
31-დეკ-24	163	49	30	1	243
5 მარაგები				31-დეკ-24	31-დეკ-23
ლვინომასალა				100,675	20,573
მარაგების გაუფასურება				(61,746)	(10,797)
სხვა მარაგი				252	381
სულ მარაგები				39,181	10,157
2024 წელს მარაგების გაუფასურების ხარჯმა შეადგინა 61,746 ათასი ლარი. (2023 წელი: 10,797 ათასი ლარი), რომელიც განპირობებულია მარაგების შეფასებით ნეტო სარეაზლიაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით, ბასს 2-ს შესაბამისად.					
6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები				31-დეკ-24	31-დეკ-23
სავაჭრო მოთხოვნები				7,503	18,629
საექვო მოთხოვნების რეზერვი				(971)	(6,714)
ნეტო სავაჭრო მოთხოვნა				6,532	11,915
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები				6,532	11,915
6.1 სავაჭრო მოთხოვნები				2024	2023
01 იანვარი				6,714	23,682
პერიოდის რეზერვის ცვლილების ეფექტი				(5,743)	(16,968)
სულ საექვო მოთხოვნების რეზერვი				971	6,714

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

7 ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-24	31-დეკ-23
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	7,030	50,138
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	10	12
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	7,040	50,150

ფულადი სახსრები განთავსებულია საიმედო ბანკებში, სადაც რაიმე არსებითი საკრედიტო რისკი კომპანიის ფულად სახსრებთან დაკავშირებით არ წარმოიშობა. კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია იმ ბანკებში, რომლებიც Fitch- მიერ შეფასებულია, როგორც BB, B+სა და B- ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი), B ის მქონე (მოკლევადიანი რეიტინგი).

8 გადასახადები	31-დეკ-24	31-დეკ-23
საგადასახადო აქტივი	2,661	2,502
საგადასახადო ვალდებულება	(2,560)	(2,409)
სულ გადასახადები	101	93

9 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 35,068 ათას ლარს. ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს (შემდგომში "სააგენტო") 2021 წლის 24 სექტემბრის 1-3/479 ბრძანების საფუძველზე, სს "აკურა"-ს კაპიტალიდან სააგენტოსგან გადაეცა ნაღდი ფული 11,000 ათასი ლარის ოდენობით, შემდგომში შპს "მოსავლის მართვის კომპანიის" კაპიტალში შეტანის მიზნით. ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს 2021 წლის 24 სექტემბრის № 3/4853 ბრძანების საფუძველზე, შპს "მოსავლის მართვის კომპანიის" 100% წილის მფლობელი კომპანიას სრულად აკისრებს პასუხისმგებლობას სასესხო ვალდებულებაზე (რომლის ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 7,000 ათასი აშშ დოლარს), რომელიც მომდინარეობს სს "აკურასა" და სს "ქართუ ბანკს" შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებებით, 22,000 ათასი ლარის ოდენობით. 2021 წლის 27 სექტემბრის №1- 3/488 ბრძანების საფუძველზე, სს "აკურა"-სგან სახელმწიფოს ჩუქების ფორმით გადაეცა შემდგომში შპს "მოსავლის მართვის კომპანიის" კაპიტალში შეტანილ იქნა ქონება საბაზრო ღირებულებით 32 ათასი ლარის, დებიტორული დავალიანება 14 ათასი ლარის ოდენობით. 2021 წლის ოქტომბრის თვეში კომპანიის კაპიტალში განხორციელდა შენატანი ავტომობილის სახით, ღირებულებით 31 ათასი ლარი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 35,039 ათას ლარს. ააიპ სოფლის განვითარების სააგენტოს 2023 წლის 9 ივნისის ბრძანება 1-3/292 ბრძანების საფუძველზე, კომპანიის კაპიტალში განხორციელდა შენატანი ავტომობილის სახით, ღირებულებით 28 ათასი ლარი. 2024 წლის პერიოდში არ განხორციელებულა ცვლილება.

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-24	31-დეკ-23
სავაჭრო ვალდებულებები	3,064	769
მიღებული ავანსები	-	54
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,064	823

12 შემოსავალი	2024	2023
სპირტის რეალიზაცია	6,317	17,278
ღვინო და ღვინომასალის რეალიზაცია	173	2,321
სხვა შემოსავალი	-	23
სულ შემოსავალი	6,490	19,621

კომპანია სრულ რეალიზაციას ახორციელებს საქართველოს ბაზარზე (კახეთის რეგიონში).

13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2024	2023
სპირტის ღირებულება	9,552	22,862
ღვინომასალის ღირებულება	487	2,974
სხვა ზედნადები ხარჯები	865	-
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10,904	25,836

სხვა ზედნადები ხარჯები მოიცავს, ყველა იმ ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯთან, ასევე პერსონალის შრომის ანაზღაურებასთან.

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

14 სხვა საოპერაციო შემოსავალი	2024	2023
სუბსიდია	37,598	18,791
სხვა შემოსავალი	110	-
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	37,708	18,791

სუბსიდია ბუღალტრულ აღრიცხვაში შპს „მოსავლის მართვის კომპანია“-ში აისახება როგორც საოპერაციო შემოსავალი, როდესაც თანხა ოფიციალურად მიიღება და კომპანიას მისი გამოყენების უფლება აქვს.

2024 წლის განმავლობაში, შპს "მოსავლის მართვის კომპანია" ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობისა და საოპერაციო ხარჯების დაფინანსებისათვის ჯამში 37,708 ათასი ლარის სუბსიდია მიიღო სახელმწიფოსგან, 2023 წელს კი - 18,791 ათასი ლარის სუბსიდია. (ბასს 20, 15.ა პუნქტის მიხედვით).

15 ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
ხელფასის ხარჯი	1,967	2,285
იჯარის ხარჯი	439	206
აუქციონის სარგებლის ხარჯი	78	182
ცვეთის ხარჯი	19	76
საგადასახადო ხარჯი	3	3
სხვა ხარჯი	275	234
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	2,780	2,986

კომპანია არსებითი მნიშვნელობის არ მქონე იჯარების შემთხვევაში, ასევე იმ იჯარებისათვის, რომელთა ვადა არ აღემატება 12 თვეს, იყენებს ფასს 16-თ დასაშვებ პრაქტიკულ შეღავათს, რაც გულისხმობს იმას, რომ ასეთ იჯარებზე არ აღრიცხავს აქტივის გამოყენების უფლებას და შესაბამისი საიჯარო ვალდებულებას. აღნიშნული იჯარები აღიარდება მოგება ზარალში, ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში.

16 ფინანსური შემოსავლები	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	3,991	1,767
სულ ფინანსური შემოსავლები	3,991	1,767

საპროცენტო შემოსავალი წარმოადგენს ვადიანი დეპოზიტიდან მიღებულ თანხას. დეპოზიტი განთავსებულია სს "თიბისი ბანკში" წლიური 9%-იანი სარგებლის ოდენობით და მოქმედებს 2025 წლის 31 მარტის ჩათვლით.

17 სხვა ხარჯი	
სხვა ხარჯი მოიცავს სს "ლიბერთი ბანკის" მომსახურების საფასურს. 2024 წელს შეადგინა 275 ათასი ლარი (2023: 61 ათასი ლარი).	

18 გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

17	სასამართლო დავები
პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.	

17 საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

19 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს, მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს, საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი

კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტისათვის მომსახურების კრედიტით მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები. კომპანია მიიჩნევს, რომ მოსალოდნელი ზარალი ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ფლობიდან უმნიშვნელოა. შესაბამისად, საკრედიტო რისკის შეფასება ფაქტობრივად ხორციელდება სავაჭრო მოთხოვნებზე.

კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: ა) უცხოურ ვალუტებში, ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში, და გ) საწესდებო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

ქვემოთ მოცემულ საბაზრო რისკებისადმი მგრძნობიარობა ეფუძნება ფაქტორში მომხდარ ცვლილებას, ხოლო სხვა ფაქტორები უცვლელად განიხილება. ნაკლები ალბათობა არსებობს, რომ ამას ადგილი ექნება პრაქტიკაში და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შესაძლოა დაკავშირებული იქნეს, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთსა და უცხოურ სავალუტო განაკვეთებში მომხდარ ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

31-დეკ-2024	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,040			7,040
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ავანსების გარდა)	6,532			6,532
სულ ფინანსური აქტივები	13,572	-	-	13,572
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,064	-	-	3,064
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,064	-	-	3,064
წმინდა სავალუტო პოზიცია	10,508	-	-	10,508
31-დეკ-2023	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	50,150			50,150
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ავანსების გარდა)	11,915			11,915
სულ ფინანსური აქტივები	62,065	-	-	62,065
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	823			823
სულ ფინანსური ვალდებულებები	823	-	-	823
წმინდა სავალუტო პოზიცია	61,242	-	-	61,242

18 ფინანსური რისკების მართვა
საბაზრო რისკი

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ინვესტიციები საკუთარ კაპიტალსა და არაფულად აქტივებში არ წარმოშობს რაიმე მატერიალურ სავალუტო რისკს.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს კომპანიის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

	2024	2023
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	-	-
აშშ დოლარის დასუსტება 10%-ით	-	-

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც კომპანიის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანია ექვემდებარება იმ ცვლილებების შედეგებს, რომელსაც ადგილი აქვს გავრცელებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მისი ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების მიმართ. კომპანიის პროცენტთან აქტივები მოიცავს ბანკის ვადიან დეპოზიტებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი უმთავრესად განპირობებულია სესხით სარგებლობასთან. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული სესხების შედეგად კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკს.

კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისათვის. თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის, ფიქსირებული განაკვეთი ჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, თუ ცვლადი განაკვეთი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირი დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიას ყოველდღე უკავშირდებიან კომპანიის არსებული ფულადი სახსრების რესურსების შესახებ. კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2024 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხა ეფუძნება დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებს.

უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კურსის მიხედვით.

31-დეკ-2024	0-1 წელი	1-5 წელი	5-ზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,040	-	-	7,040
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ავანსების გარდა)	6,532	-	-	6,532
სულ ფინანსური აქტივები	13,572	-	-	13,572
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,064	-	-	3,064
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,064	-	-	3,064
ლიკვიდურობის სხვაობა	10,508	-	-	10,508
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	(10,508)	-	-	

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

18	ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)				
	ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)				
	31-დეკ-2023	0-1 წელი	1-5 წელი	5-ზე მეტი	სულ
	ფინანსური აქტივები				
	ფული და ფულის ეკვივალენტები	50,150	-	-	50,150
	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ავანსების გარდა)	11,915	-	-	11,915
	სულ ფინანსური აქტივები	62,065	-	-	62,065
	ფინანსური ვალდებულებები				
	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	823	-	-	823
	სულ ფინანსური ვალდებულებები	823	-	-	823
	ლიკვიდურობის სხვაობა	61,242	-	-	61,242
	წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	(61,242)	-	-	

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირება, რათა აქციონირებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები	31-დეკ-24	31-დეკ-23
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	6,532	11,915
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	-	2,858
სულ ფინანსური აქტივები	3,674	50,193
ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები	31-დეკ-24	31-დეკ-23
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები		
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	3,064	823
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,064	823

19 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც წესი, მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს გააჩნია მეორე მხარის კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ან თუ არსებობს მესამე მხარეზე ერთობლივი კონტროლი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების დროს. თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2024 და 2023 წლებისთვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	2024	2023
მენეჯმენტის ხელფასი	145	121

შპს "მოსავლის მართვის კომპანია"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

20 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

პერიოდის შემდგომ სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

მმართველობის ანგარიშგება

ა) საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობისა აღწერა

1. კომპანიის განვითარების გეგმა ძირითადი მონაცემები კომპანიის შესახებ

შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ დაარსდა 2020 წელს. კომპანია დაფუძნებულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ. შპს „მოსავლის მართვის კომპანია“-ს ფაქტობრივი მისამართია თელავის რაიონში, სოფ. აკურა. იურიდიული მისამართი თბილისი, მარშალ გელოვანის N6. კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს იჯარით არებულ სხვადასხვა ქარხნებში ყურძნის გადამუშავება, ღვინის დამზადება და საბრენდე სპირტის წარმოება.

2. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“;

- საქართველოს საგადასახადო კოდექსი; -საქართველოს მთავრობის 2014 წლის 03 იანვრის N3 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის ყურძნის ღვინოების წარმოების ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ“.

-საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის 19 თებერვლის ბრძანება №282“ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 20 თებერვალის N2- 37 ბრძანება- “ღვინისა და ღვინის ბრენდის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციისათვის საჭირო მონაცემთა შესწავლისა და დადგენის წესის” და “ადგილწარმოშობის დასახელების ღვინისა და ღვინის ბრენდის წარმოებაზე სახელმწიფო კონტროლის წესის” დამტკიცების შესახებ.

და სხვა ქვენორმატიული აქტები.

კომპანია წარმოებულ პროდუქციას ძირითადად ყიდის ადგილობრივ ბაზარზე საქართველოში. ალკოჰოლური ნაწარმის მწარმოებელთა შორის შპს „მოსავლის მართვის კომპანია“-ს ხვედრითი წილი ცვალებადია და დამოკიდებულია მიღებული ყურძნის რაოდენობაზე.

სარეალიზაციო საქონლის ასორტიმენტი იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

სხვადასხვა დასახელების თეთრი და წითელი ღვინისა და საბრენდე სპირტის წარმოება;

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანია საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შეცვლას უახლოეს პერიოდში არ გეგმავს.

1. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.

კომპანიას ფილიალები არ გააჩნია.

1. გამოკვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ამ მიმართულებით საანგარიშგებო პერიოდში რაიმე სერიოზული კვლევა არ ჩატარებულა.

1. დ საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები კომპანიის საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლებია: ათასი ლარი

	31/12/2023	31/12/2024	% წინა წლებთან შედარებით
მიმდინარე აქტივები	72,315	52,853	26%
გრძელვადიანი აქტივები	317	243	-23%
სულ: აქტივები	72,632	53,095	26%
მიმდინარე ვალდებულებები	823	3,064	272%
მოგება / ზარალი	17,453	21,777	-19%
საწესდებო კაპიტალი	35,068	35,068	0%
სულ კაპიტალი	71,808	50,032	20%
სულ: ვალდებულებები & კაპიტალი	72,632	53,095	22%
შემოსავალი რეალიზაციიდან	19,621	6,490	-67%
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(25,836)	(10,904)	-58%

დასაქმებულთა საშუალო ხელფასი და რაოდენობა.

	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
დასაქმებულთა საშუალო ხელფასი (XII მდგომარეობით)	1705	1627	2186
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა (XII მდგომარეობით)	73	77	78

ბ) ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკებთან დაკავშირებით მენეჯმენტის აზრით სასოფლო სამეურნეო წარმოებისათვის დამახასიათებელი რისკი დაკავშირებულია ამინდთან. არახელსაყრელმა ამინდმა, კერძოდ, ხშირმა წვიმებმა, ან პირიქით დიდმა გვალვამ, ასევე სეტყვამ, (რაც ხშირია საქმიანობის რეგიონში,) შესაძლებელია გამოიწვიოს მოსავლის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურება, კომპანიას ეს რისკი არ გააჩნია, რადგან არა აქვს არც ერთი ჰა ვენახის ფართობი. რეალიზაციასთან დაკავშირებული რისკი: - კომპანიას რეალიზაციის პრობლემა არ გააჩნია. ქონების დაცვის რისკი: - კომპანიას ქონება დაზღვეული არა აქვს, კომპანიის ქონებას იცავს საკუთარი დაცვა. მენეჯმენტის აზრით სხვა დანარჩენი რისკები საშუალოზე დაბალია და სერიოზულად არ განიხილება.

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს, მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს, საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების კრედიტით მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები. კომპანია მიიჩნევს, რომ მოსალოდნელი ზარალი ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ფლობიდან უმნიშვნელოა. შესაბამისად, საკრედიტო რისკის შეფასება ფაქტობრივად ხორციელდება სავაჭრო მოთხოვნებზე.

კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: ა) უცხოურ ვალუტებში, ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში, გ) საწესდებო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის

გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

კომპანია ექვემდებარება იმ ცვლილებებს, რომელსაც ადგილი აქვს გავრცელებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მისი ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების მიმართ. კომპანიის პროცენტური აქტივები მოიცავს ბანკის ვადიან დეპოზიტებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი უმთავრესად განპირობებულია სესხით სარგებლობასთან. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული სესხების შედეგად კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკს.

ლიკვიდურობის რისკი ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირი დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიას ყოველდღე უკავშირდებიან კომპანიის არსებული ფულადი სახსრების რესურსების შესახებ. კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

რაც შეეხება გაურკვევლობებს, იგი დაკავშირებულია სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან მოულოდნელად მიღებულ გადაწყვეტილებებთან, რომლებსაც შეუძლია კომპანიის საქმიანობის შედეგები მნიშვნელოვნად შეცვალოს და რომელთა წინასწარი პროგნოზირება ცალკეულ შემთხვევებში შეუძლებელია. მთავარი რისკი ჩვენთვის არის ბაზარზე არსებული საბრენდე სპირტის დაბალი ფასი, სპირტის წარმოება გაცილებით ძვირი ჯდება, შესაბამისად იღებს მნიშვნელოვან ზარალს.

შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“-ს დირექტორი:

პაატა ჭავჭავაძე

თარიღი: ივლისი 25, 2025